წელიწადი I-ლი

ოთხშაბათი, 15 დეკემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურა .

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . .15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შაქევსკის ქუჩაზე 10 საათ. საღ. 3ს.

№ 81 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 81

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ოთხშაბათიდან 8 დეკემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

**ნიღაბი** თეთრი კბილებით

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

მთავარ როლს ასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

**ვინ იყო მასკით?** დღეს ეკრანზე ყველაფერი ღიათ.

უკანასკნელი ორი ეპიზოდი.

8 სერია. ეპიზოდი—15 საიდუმლო საბუთი.

ეპიზოდი—16 ხუთი თითი ხელის.

დასასრულ **სავალე ვარჯიშობა ფრონტზე.**

ელექტრო-თეატრი „ტრიუმფი“

**თეატრი მოწყობილია საზამთროთ**

ამერიკული სისტემით, მყუდროდ და თბილათ.

შაბათიდან, 1920 წ. 11 დეკემბერს

მხატრული დრამა

მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით

**ნუ ინდომებ ცოლს ახლობელისას შენისას**

დასასრული **მიუნხენი** სანახავი სურათი.

ანონსი ოთხშაბათ, 15 დეკემბერს ახალი სურათები იქნება.

**ნახმანიოსევგის-ძე შმოისი**

აუწყებს კლიენტებს, რომ მან დაიბარა ყველა ნდობის საბუთები გ.“ და მ.“ და მ. რ. როხლინისა.

3—3

**განცხადება**

ბათომის მუშათა მაგიდა ამით აცხადებს,

რომ მან მიიღო კომბოსტო რომელსაც დაარიგებს მუშა-მოსამსახურეებზედ. თითო ოჯახს მიეცემა ხუთ ფუთამდე, გირვანქა 18 მანეთად.

დარიგებას შეუდგება 15 დეკემბრიდან.

1—1

**ბათომის მუშათა მაგიდა.**

თანახმათ შრომის სამინისტროს განკარგულებისა საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების პატრონი მოვალეა მომარაგების ფონდისათვის მაგიდის სალაროში

შეიტანოს ყოველ მუშა მოსამსახურეზე 3000 მანეთი.

ვინც ოც დეკემბრამდე ამა წლისა ხვედრ ფულს არ შემოიტანს, მისი მუშა-მოსამსახურეთ მაგიდის რაციონი მოესპობათ.

3—2 მუშათა მაგიდა.

ლლოიდ ტრიესტინოს საზოგადოება

სომხ. შესახვევი № 4.



იუწყება, რომ 13 დეკემბერს მოვიდა გემი

**„კლეოპატრა“**

რომელიც წავა ხუთშაბათს 16 დეკემბერს დღის 4 საათზედ გაივლის ნავთსადგურებს: ანატოლიას, ვენეციას და ტრიესტს.

მიიღებს მგზავრებს 1, 2, 3 კლას. და ბარგს

ცნობების მიღება შეიძლება ლლოიდ-ტრიესტინოს სააგენტოში

**განცხადება**

ბათომის მუშათა მაგიდასთან დაარსდა საქონლის შემყიდველი ბიურო.

ბიუროს შემადგენლობა—მაგიდის გამგე და სამი პირი, წარმოგზავნილი ბათუმის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ.

ბიუროს მიზანია შეყიდვა სურსათ სანოვაგის და მისი რაციონალურათ განაწილება მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ვისაც რაიმე საქონლის მიწოდება შეუძლია, ბიურო სთხოვს წინადადებები შემოტანილი იქნას მაგიდაში დილის 9-დან ნაშუადღევის 3-მ საათამდე.

3—3 საქონლის შემყიდველი ბიურო.

**განცხადება**

ბათომის მუშათა მაგიდისათვის საჭიროა გამოცდილი საქმის

**მწარმოებელი.**

მუშათა მაგიდა.

**ბათომის მუშათა მაგიდა**

საჭიროა გამოცდილი

**მებოსტნე**

პირობების გაგება შეიძლება კანცელარიაში

1—1 მუშათა მაგიდა

საკომისიო მაღაზია

**„ამხ. სოიუზი“**

(მიხაილოვის 7 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)

ყიდულობს და იღებს საკომისიოდ

ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

— დეკემბრის 14 მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს მოხსენებით წარუდგა ჯარების სარდლის თანაშემწის ამასრულებელი გენერალი ფურცელაძე.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა განკარგულება გასცა ყველა ჯარის ნაწილებს მიაწოდონ ქართული გაზეთი.

— დეკემბრის 14-ს შესდგა საველე სამხედრო სასამართლოს სხდომა.

— დეკემბრის 13-ს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში განსაკუთრებულ რწმუნებულის ბრძანებით შეიკრიბა შერეული კომისია, რომელმაც გამოიმუშავა ფასები რეკვიზიციით აღებულ ბინებისა და სასტუმროების, საქირაო ფასის ოქმი დასტურისათვის მოხსენებით წარედგინება განსაკუთრებულ რწმუნებულს.

— შერეულ საუწყებათა შორისო საბინაო კომისიაში განსაკუთრებულ სამმართველოს მხრით დროებით წარმომადგენლად დაინიშნა კაპ. ირ. დიდიძე.

— მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ატყობინებენ, რომ ქურთები საარენდო მამულის გადასახადს არ იხდიან. მათ უნდა გადაიხადონ მოსავლის ერთი მეათედი ნაწილი.

— ვალიუტის სპეკულიაციისთვის შეპყრობილი ედელსონი რესპუბლიკის საზღვრებიდან იგზავნება.

## ბათომი, 15 დეკემბერი.

გუმბრის კვანძი ასე თუ ისე უნდა გაიხსნას. სულ ერთია ჰარმონიაში დარჩებიან სომხეთის გაწითლების შემდგომ რუს-ოსმალნი თუ მათ კონფლიქტი მოუვათ, სომხეთის ებოპეამ ერთნაირი მიმართულება უნდა მიიღოს.

საეჭვოა ბოლშევიკებმა რამე ახალი ამბავი არ დაიწყონ ამიერკავკასიაში და ეს ჩვენთვის უალრესად საინტერესო საყურადღებოა. დღეს ვინაიდან სახელმწიფურ თვით და მოუკიდებელ სიცოცხლეს მარტო ჩვენ შევრჩით ამიერ კავკასიაში.

ჩვენ ვერ ვიქნებით დახლვეული ბოლშევიკების წითელ კბილისგან და ამისთვის მუდამ წამს უნდა მაგრად ვიყვნეთ.

ქართველი დემოკრატია მისი ჯარი და გვარდია მტრის ტყვიების წინაშე ჩვეულებრივ სილამაზით დაიცავს სამშობლოს.

მოქალაქენო თქვენ მხოლოდ ზურგი გაამაგრეთ, ფრონტზე იზრუნეთ!..

## ბათომის განწმენდისათვის

1918 წ. მრავალი გმირი ბათომში დასეირნობს.

გაცემულია მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის ბრძანება ქალაქიდან ყველა უსაქმურთა გასვლის შესახებ მაგრამ, უბედურება ის არის, რომ საქართველოს მტრები ყველანი ამა თუ იმ საქმეს ეწევიან. მით უმეტეს დღეიდან მათ სამფარველოდ ორი საკონსულო იქნება რუსების და სომხების.

შესანიშნავია მთელ რესპუბლიკაში რომ საბჭოთა საკონსულოს მთელი არმია ჰყავს თავის გარშემო შემოკრებილი. ეს ასეა ძველ ქალაქში და ბათომიც გამონაკლისში არ მოხვედრილა. ამ გაურკვეველ დროს, როცა ხიფათი არ ვიცით რომელ მხრიდან მოგვევლინება ყოველად დაუნდობარნი არიან ის პერსონები, რომელნიც მილიონებს აპნევენ აქ სიმპატიის საყიდლად.

საბჭოთა საკონსულოების აგენტები რომ მშიერ მგლებსავით დაეტაკებიან ხოლმე ყველა მოსულ საქონელს და იძენენ რუსულ თუ სხვა ვალიუტით, რათა ამით ხელი შეუწყონ ჩვენ ეკონომიურ დასუსტებას და კრიზისს.

ბათომი საქართველოს სახელმწიფოს კლიტე—გასაღებია, ბათომი ქართველი ერისთვის ყველაფერია და აქ გვჭირია ჩვენ ყველაზე უდიდესი სიმტკიცე.

საქართველოს ხელი ბათომში უნდა იყოს ფოლადი და ჯავშანი. თავდაცვის საქმე ბათომში უნდა იყოს ყველაზე უფრო ძლიერი და ნაყოფიერი. ამისათვის დღეს ბათომის ყოველი კუნჭული უნდა გაანათოს ბოროტ სულთა აღმომჩენმა პროჟექტორმა და ყველა მოღალატე აქედან იქმნას აღმოფხვრილი. ბათომში უსასტიკესი და განსაკუთრებული ზომები უნდა იქმნას ხმარებული მტერთა მოქმედების აღსაკვეთად.

ბათომი საქართველოს პირველი ციხეა, სამხრეთ საქართველოს მეტეხია და ერის დარაჯნი ფრთხილად აქ.

ბათომის კედლებზე უნდა სჩანდეს ჯავშნიანი ხელი ქართველ დემოკრატიისა, ბათომის შიგნით ყველა სიფრთხილით უნდა იყოს განწყობილი რესპუბლიკისადმი. უსასტიკესი თვალყური მტერთა მოქმედებას, საეჭვო პირნი, 1918 წ. გმირნი აქედან უნდა იქმნან გადენილნი მათ ბათომის მოქალაქენი ყოველ დღე ხედავენ. მთავრობამაც უნდა დაინახოს ისინი.

გაუფრთხილდით ბათომს!..

**ჩრაქლი.**

## ისიდორე რამიშვილის სიტყვა გვარდიის დღეობაზე.

დიდია, მოქალაქენო, დიდია სამსახური ჩვენი სახალხო გვარდიისა საქართველოს წინაშე. მან თავისი სისხლითა და გმირობით ჩასწერა საქართველოს ისტორიაში დიდი ფურცელი. მაგრამ დიდია მისი საკაცობრიო მნიშვნელობაც, როგორც ეს აღნიშნა ამას წინეთ ჩვენში მოსულმა ევროპიელმა სოციალისტურმა დელეგაციამ, რომელმაც უწოდა ჩვენ სახალხო გვარდიას მოწინავე საკაცობრიო დემოკრატიული რაზმი.

როდესაც ჩვენი სახალხო გვარდია ქმნის დემოკრატიულ წყობილებას, იმდენათ ის გზას უკაფავს საკაცობრიო დიდი იდეალის განხორციელებას, რადგანაც ვანდერველდეს თქმით არ არის სოციალიზმი უდემოკრატიზმოთ. და დემოკრატიზმი უსოციალიზმოთ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, მისი საკონტროლო კომისიისა და დამფუძნებელი კრების, ფრაქციის სახელით მივესალმები ჩვენი ქვეყნის სიამაყესა დიდებას ჩვენს სახალხო გვარდიას და ვულოცავ სამი წლის გმირულ ბრძოლაში გატარებულ არსებობას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სამართლიანათაც შეუძლია იამაყოს, რომ მის საშოდან წარმოიშვა ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მხსნელად მოევლინა ჩვენს ქვეყანას და ეს შეიარაღებული ძალა არის ჩვენი სახალხო გვარდია. სიხარულით და სიყვარულით ვეგებებით დღეს ძღვენად პურ თავის გმირულ შვილს და დაფნის გვირგვინს ადგამს მას შარავანდედით მოსილ თავზე.

## ცოტა რამ ისტორიიდან.

(ფიქრები სომხეთის უბედობის გამო.)

რუს-ოსმალოს კავშირის შესახებ რომ ხმა გავარდა, ჩვენ იმ თავითვე გვწეროდით: ეს უმსგავსო და არა ბუნებრივი საქმე არის, მუსტაფა და „ივანე რუსი“ არცა როდის არ ყოფილან მოწყობილი და მადლიერი ერთი-მეორესი და ახლაც მომავალი გვაჩვენებს ამ კავშირის უნიადაგობას თქვა. დიდი წინასწარმეტყველობა არ იყო ამისთვის საჭირო, პირიქით საკვირველი და სასწაული რამ იქნებოდა, რომ საქმე სხვაფერ წასულიყო და ამისი საბუთი მრავალი მოიპოვება წარსულ ცხოვრებაში. წარმოიშვა თუ არ მოსკოვის სამეფო, დაითრგუნა თუ არა რუსეთში ფეოდალთა წვრილი სამთავროები და გაჩნდა ერთი დიდი რუსეთი, მას შემდეგ რუსეთს მუდამ გარეთ ეჭირა თვალი. ისტორიის ასპარეზზე ახლად გამოსული „თეთრი ხალხი“ ძალუმად იწევდა განაპირებისკენ და უშკარა მტაცებლურ გზას მიჰყვებოდა. ციმბირში გაჭრილი ერმაკი რუსის სულ ს წმინდა წარმომადგენელი არის: ის თავს ესხმის სხვის ქვეყანას სხვა ხალხს და როცა რუსის მეფეს ატყობინებს „ციმბირი დაპყარით.“ მეფე მას თოკისა და საპნის მაგიერ თავის საკუთარ ძვირფას წამოსასხამს უგზავნის წყალობის ნიშნად. პეტრე დიდის დროიდან რუსეთი ხომ სულ სპარსეთსა და ოსმალეთს აწვებოდა. ეს ყირიმის, ეს ასტრახანიდან კასპიის ზღვაზე „გასეირნება“ თვით სპარსეთის ქვეყნებამდე, ხომ იმისი უტყუარი მაჩვენებელია, რომ რომანოვები არ სჯერდებოდენ თვალ უწვდენელ რუსეთის სივრცეს და ზღვებით სურდათ შემოეფარგლათ საბრძანებელი, ესე იგი გზები ეშოვათ წყნარ ოკეანესკენ თუ ხმელთა შუა ზღვისკენ. ორივე ამ გზაზე რუსეთს წინ ხვდებოდა მრავალი სხვა და სხვა ერი: კავკასიის წვრილი ერები, შუა-აზიის ტომები, ბალკანეთის „ძმები ერები“ და სხვა. ყველა ამათთან საჭირო იყო ანგარიშის დაჭერა და ჩვენ ვიცით თუ როგორ გაასწორა ანგარიშები რუსეთმა კავკასიასა და შუა-აზიასთან: ზოგი უხეში ძალით, ზოგი მოტყუებით და „ტრაქტატებით“ შეუერთა თავის დიდ სამფლობელოს და პირდაპირ სპარსეთ-ოსმალეთს აეკრა გვერდით.

საზოგადო აზრი არის, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკოსები გამჭრიახი და შორს მჭვრეტელი ხალხია, ვაივინთი ქვეყნების და მართვა-გამგეობის საქმეები კარგად იციან და მეზობლებთან დამოკიდებულებაში დიდ ხერხს იჩენენო. ვეზირთა და კარისკაცთა ვეროგობა, ცბიერობა და ხერხი აღმოსავლეთში ხომ განთქმული არის; მაგრამ საქართველოსთან ოსმალეთ-სპარსების დამოკიდებულებათა მეცხრამეტე საუკუნემდე ეს იყო მუდმივი ქიდილი, დაფიდარაბა და სისხლის წვიმები საქართველოს გასანადგურებლად. ეს საქმე თურმე თითონ ამ ქვეყნების, ოსმალეთ-სპარსეთის, დამღუპველი საქმე ყოფილიყო და ეს გამოეპარათ ოდიშაჰთა პოლიტიკოსებს. მოიშალა სამაჰმადიანო ქვეყნებ შორის აღმართული ზღუდე, დაუძლურდა საქართველო.

და რუსეთს შეაფარა თავი სწორედ ამ დღიდან ჩამოირეკა ოსმალეთ-სპარსეთის საბედისწერო ზარი. მეცხრამეტე საუკუნეს განმავლობაში რუსის სალდათი ბევრჯერ შეჭრილა ოსმალეთში. თვით უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დროს ბათომი და იმისი ოლქი ხომ აზრუმის სანაცვლოდ მისცეს რუსეთს. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს თურმე, რომ ბათომში როგორ დაუშვეს ოსმალეთის დროშა და აღმართეს რუსეთის სამფეროვანი დროშა სწორედ იმ დროს, როცა ოსმალოს ჯარისკაცები და ოფიცრობა ფიქრობდა, რომ ომი კარგა ხანია გათავდა და ბათომში ჩვენ, ოსმალოები, ვრჩებით. სტამბოლში სულთანი ზის, მას ხელთ უპყრავს გასაღები, ნებავს,—გაგვიშვებს, ნებავს—არა. ეს ამბავი რუსეთს მოსვენებას არ აძლევდა. დღესაც დანგრეულ-გატიალებულ და აწეწილ რუსეთის „პატრიოტები“, რომელნიც თვით იმავ სტამბოლში ხშირად მასპინძლობენ და სტამბოლიც მათ სტუმრად სცნობს, დღესაც ოცნებობენ სტამბოლის შესახებ. ამ მსოფლიო ომის დროს ხომ რუსის კადეტები თუ „პატრიოტები“ საგანგებო პირობებ-შიიჭერდენ ინგლის-საფრანგეთს-სტამბოლი რუსეთს უნდა დარჩეს, იქ ყოველ შემთხვევაში რუსეთს უპირატესობანი უნდა მიეცეს, როცა „დათვს მოვკლავთო“. მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა „დათვის ტყავის გაყოფა“. და როდისმე რომ ისტორიის ჩარხი უკუღმა დაბრუნდეს, რუსეთი ძველი სახის მაგივრად წამოდგეს, ამ „პატრიოტების“ გავლენა ისევ დამკვიდრდეს რუსეთში, სტამბოლს რუსეთი ისევ წაეპოტინება.

აქ ინასკვება ერთი დიდი წინააღმდეგობა: ინგლის საფრანგეთი არ თანაუგრძნობენ რუსეთის ასეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო, მოვიხედოთ ცოტა უკან და მოვიგონოთ რომ ამ სამი წლის წინეთ დღევანდელ დღეს საქართველო განწირული იყო, ის ჯოჯოხეთის პირზე იდგა, მისკენ მიექანებოდენ და მოგორავდენ ერთი მეორეზე დიდი და შავი ტალღები და ახლო იყო წუთი, როცა ჩვენ უნდა დავღუპულიყავით და ამ საბედისწერო ჟამს საქართველოს არავითარი შეიარაღებული ძალა არ გააჩნდა. ძველ არმიაში მყოფი ქართველი ჯარის კაცები მაშინ ეკუთვნოდენ შინ გაქცევისა და ყველაფერის განადგურების პარტიას, ყველანი ბოლშევიკები იყვნენ. დღევანდელი ჩვენ სასახელო რეგულიარული რესპუბლიკური ჯარი მაშინ კიდევ არ გვყავდა. და აი ამ წყვდიადით მოცული არე-მარეში იელვა ქვეყნის მხსნელმა ხმალმა და გაისმა მედგარი ყიჟინა, რომელმაც შეანძრია ჩამოწოლილი შავი ღრუბლები ეს იყო ხმალი მუშა ხალხისა, ეს იყო ყიჟინა თფილისის დეპო-სახელოსნოების რევოლუციონური მუშებისა, რომელთაც დაყარეს ჩაქუჩები და ხელი იკიდეს საომარ იარაღს. მათ აიღეს არსენალი, გზა შეუკრეს თფილისზე ფრონტიდან დაბრუნებულ ეშელონებს, რომელთაც თფილისის განადგურება ქონდათ გადაწყვეტილი. და უკუ აქციეს ისინი. ეს იყო 29 ნოემბერს ანუ 12 დეკემბერს 1917 წლისა, მაშინ ჩაეყარა საძირკველი ჩვენს სახალხო გვარდიას, მას შემდეგ გაიზარდა ის იმ დიდ ძალათ, რომელიც დღემდისაც მფარველობს რევოლიუციის ყველა მონაპოვარს უმთავრესად საქართველოს დამოუკიდებლობა და მის დემოკრატიულ წყობილებას.

ის იმ დღიდან დღემდის სდგას თავის სადარაჯოზე, იბრძვის როცა მტერი ემუქრება და ხნავს მიწას, როცა ამის დრო დადგება, ქმნის ხალხის ათასეულებს, ქმნის ეკონომიურ ძლიერებასაც.

უფრო გასაჭირი იყო ჩვენი სახალხო გვარდიის ბრძოლა, როცა ის მარტო იდგა ბრძოლის ველზე, რომ გვერდში არ ამოუდგა ძლიერი თანამებრძოლი ჩვენი რეგულიარული ძალა, ჩვენი საყვარელი ჯარი. ეს ორი შეიარაღებული მოძმე ჯარი და გვარდია წარმოადგენ დღეს საქართველოს მხსნელ ძალად და მიტომაც არის, რომ ასე ძვირად უყვარს ორივე ქართველ ხალხს. გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, გაუმარჯოს ჩვენს ჯარს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.

## მისალმების დეპეშა.

გაზეთ „ბათომის ფურცლის" რედაქციამ შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ასლი ბათომის საოლქო შტაბს. გილოცავთ სამი წლის ლამაზ ბრძოლით დამშვენებულ დღეობას. თქვენი მარჯვენი აცოცხლებს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს. მრავალ ჟამიერ.

სარედაქციო კოლეგია.

# ქრონიკა.

სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო შტაბმა სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მოსამსახურეთაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მოსამსახურენი აღფრთოვანებით ეგებებიან სახალხო გვარდიის სამი წლის თავს და გამოსთქვამენ ურყევ რწმენას," რომ დემოკრატიის თავისუფლების დროშას, რომლის მებაირახტრეც სახალხო გვარდიაა მედგრად დაიცავენ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ძირს არ დაუშვებენ.

მინდობილობით გრიგოლ

**ჯულელი.**

**ქალაქის თავის დაბრუნება.** ბათუმის ოლქიდან დაბრუნდა ქალაქის მოურავი დამფუძნებელ კრების წევრი კიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძე მან ნახევარი თვე დაჰყო ოლქში და ამ დღეებში ჩვენ დავსტამბავთ ინტერვიუს მასთან.

**გაზეთი ჯარისთვის.** ქალთა წრემ გამოუწერა თავის ხარჯით გაზეთი მეცხრე ასპინძის ათასეულს. რედაქცია ერთ გაზეთს უფასოდ უგზავნის ამავე ბატალიონს.

ბათომის მუშათა მეგიდამ საგრძნობლად გააუმჯობესა ხარისხი სარაციონო პურისა.

### ნავთსადგურში.

ფრანგულ საზოგადოების გემი „სირაკასი" ამ დღეებში ნეაპოლიდან მოვა ბათომში და მოიტანს სხვა და სხვა საქონელს საქართველოსთვის, აქედან წაიღებს საქონელს და წაიყვანს მგზავრებს.

ამ კვირის ბოლოს იტალიური გემი „სიკონია" ხე ტყის ნაწილს წაიღებს ჩრდილო ევროპისაკენ სტამბოლში შევლით.

— იტალიური გემი „კლეოპატრა" ხუთშაბათს მიდის ვენეციაში და მიაქვს სხვა და სხვა საქონელი.

— გემი „კელტი" განაგრძობს დატვირთვას.

— 14 დეკემბერს სოხუმიდან მოვიდა გემი „დონეცი."

რამოდენიმე წვრილმანი გემი ოსმალეთის ნაპირებისკენ წავიდა.

## საოლქო საბჭოში.

შაბათის 11 დეკემბრის მორიგ სხდომაზე საოლქო საბჭომ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა სასკოლო საქმის მოწყობის საკითხი გადასწყდა დაარსდეს სახალხო მასწავლებელთა მომზადებელი კურსები და ბოლოს სემინარიაც.

პ ი რ ვ ე ლ ი სამასწავლებლო კურსების მოწყობა განზრახულია ხულოში აგრეთვე ბათომში დაარსდეს ვაჟ მუსლიმანთა სასწავლებელი.

## უკრაინაში.

(შავი ზღვის რადიოთი)

— უკრაინაში მოსკოვის ბატონობის საწინააღმდეგო აჯანყებები მძვინვარდება, საბჭოთა მთავრობამ ესერთა პარტია კანონს გარეშე გამოაცხადა, განაახლეს მასიური უკრაინის „სამოსტინიკებისა".

## უკანასკნელი საათი.

აზერბაიჯანიდან ჩამოსული სანდო პირი გადმოგვცემს რომ ბოლშევიკები საქართველოსკენ გზავნიან ბანდებს და არარეგულიარ ჯარს.

— ბაქოს რევკომს გამუდმებული საიდუმლო სხდომები აქვს, ირწმუნებიან სხდომები ახალ საოპერაციო გეგმის შემუშავებას შეეხებაო.

მისწრაფებას, განსაკუთ ინგლისს არ ასვენებდა რუსეთის სიძლიერე. ინგლისს არ უყვარს მეტოქე, მით უმეტეს ისეთი, რომელსაც შეეძლო აუარებელი ცოცხალი ძალა გამოეყვანა „ზარბაზნის ხორცად", ასეთი კი რუსეთი არის და დიდი ხანია ინგლისი და რუსეთი ვერ ეწყობიან ერთმანეთს ვერც ეგრეთ წოდებულ ახლო-აღმოსავლეთის, ვერც დიდი აზიის საკითხებში კავშირი ინგლის-რუსეთისა ამ მსოფლიო ომის დროს ყველას საკვირველად მოაჩნდა: ეს ორი ისტორიული მოქიშპე და მეტოქე რამ დაამეგობრაო, ყველა კითხულობდა და ბოლოს ხომ რუსეთი გაირიყა ამ „კავშირიდან" ზოგი თავისი უბედურების გამო, ზოგიც თითონ ინგლისის ანგარიშების მიხედვით. „განსოციალისტებულ" რუსეთს არ შეუძლია ყველა ეს დაივიწყოს. ეს იქნებოდა თავისი თავის უარის ყოფა. წითელი კალია, რომელსაც დასავლეთისკენ ახლა საქმე აღარ აქვს, აღმოსავლეთს აწვება და სპობს გზა-გზა წვრილ ერთა თავისუფლებას ისე, როგორც რომაელები სპობდენ ამას ამ ასი წლის წინეთ. ისტორია აქ პირწმინდათ მეორდება, ოღონდ სხვა სამოსელით, სხვა ქურქით მოდიან დამპყრობელნი და სასწაული გაუგებარი იქნებოდა აქ რომ ყარა-ბექირი გულდამშვიდებით იყოს. მას არ მისცეს ნება მთლად გაექელიტა სომხეთი და ბაქოსკენ წასულიყო. ბაქო რუსეთის სასიცოცხლო ძარღვია: მდინარე ვოლგა რომ ვსთქვათ მარტო, აი ამ მდინარეს როგორ შეუძლია ბაქოს ნავთს ჩამოშორდეს მაშინ ხომ მოკვდება ვოლგა, და მოკვდება რუსეთის მიმოსვლა—ვაჭრობა—მრეწველობა სიცოცხლე! სხვას თუ გინდ თავი დავანებოთ და სომხეთში შემოჭრილ მუსტაფას უსათუოდ წინ უნდა დახვედროდა წითელი კალია. ეს ასეც მოხდა. სოციალისტურ რუსეთის იმპერიალიზმი აქ ყარაბექირს გზას გადაუღობავს და კავშირიც დაირღვევა. მით უმეტეს, რომ „ვერაგი ალბიონი" ქემალისტებთან მორიგების საქმეს აწყობს ანგორაში შუაკავკასიის გზავნის და „ავათმყოფი კაცის" სიცოცხლის განგრძობას ცდილობს საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთისკენ იწევს, მას გზაში დაღისტანი, აზერბეიჯანი, სომხეთი ხვდება და ყველა ამ ქვეყნებს ის „აწითლებს", რომ დიდი რუსეთის ძველი მისია აასრულოს, და ამისთვის თუ სამოქალაქო ომში ნახევარ-ნახევარი გაიჟლიტება ეს პატარა ერები, აქ რუსეთი არას ჰკარგავს.

სომხეთის უბედობა აქ თავიდან იწყება. ევროპა—აზიის შარა-გზაზე მიგდებული საქრისტიანოს ერი ისევ ორი მოქიშპეს საჯიჯგნად რჩება. სჯიჯგნიდა, აწამებდა მას ოსმალო მრავალ—საუკუნეთა განმავლობაში! მრავალ წელთა განმავლობაში სისხლის ღვრით მან მოიპოვა თავისუფლება მაგრამ ვერ შესძლო მისი შენარჩუნება! მას ისევ წაეპოტინა ჩრდილოეთის „თეთრი ხალხი" და თავისი ძალა-უფლება უნდა აამეფოს იქ. სისხლისაგან დაცლილი პატარა ერი ამ ჟამად კიდევ იმას ირჩევს, რომ საქრისტიანო რუსეთს შეაფაროს თავი და მით ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს.

ულმობელობით განმეორებული ისტორიის სასტიკი კანონები სომხეთის ერს წინ უყენებს აუცილებლობას: ორ დამპყრობ შემოსულ ძალთა შორის ისევ რუსეთი აირჩიოს და დანგრეული კერა მთლად განიავებას გადაარჩინოს. წვრილ ერთა ცხოვრება ყოველთვის ძნელი და სახიფათო ყოფილა და კიდევ დიდხანს ასე იქნება, მით უმეტეს! თუ ისტორიულმა უბედობამ წვრილი ერები მსხვილ და ძლიერ ერებს გზაში ჩაუჩხირა და იმათ სავალ ადგილებზე მოსახლეობა არგუნა. თითქოს ერთხელ ტრაპიზონის მოლაპარაკების დროს 1918 წელს გონს მოვიდენ ოსმალეთის პოლიტიკოსები და ფიქრობდენ ეცნოთ ამიერ-კავკასიაში შექმნილი პატარა რესპუბლიკები, თითქოს არწმუნებდენ ჩვენს დელეგაციებს: არას გერჩით და გიცნობთო, მაგრამ მათ ისევ სძლია ისტორიულმა სიბეცემ ამიერ-კავკასიის ბედ-უბედობაში და ისევ წამოიძახეს ვეჰიბ- ფაშას მიერ ერთხელ წამოსროლილი სიტყვები: „ვიელით თათრის ჯარით მანამდე, სანამ რუსის ჯარს არ შეხვდებითო!" და დღემდე განაგრძობენ ოსმალები იმავ გზას სვლას! აკი შეხვდენ „რუსის ჯარს" სომხეთში! იქნება ეს „შეხვედრა" კავკასიის წვრილ ერებისთვის უკეთესი გამოდგეს. მომავალი გვაჩვენებს თუ როგორ მორიგდებიან პირისპირ ერთმანეთის წინაშე წამდგარი „კომინისტურად" შეკავშირებული, რუსი და ოსმალო!

ვ. ხეფისპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრანგული პრესა.

**გაზ.** ბოსფორში დასტამბულია ორი ცნობა.

— ქემალ ფაშამ წინადადება მისცა საქართველოს დასცალოს ზოგიერთ ადგილები(?) და საბაზოდ გადსცეს ქემალ-ფაშას, საქართველომ უარი განუცხადა ამის შესახებ და ყარა-ბექირს არავითარი ნაბიჯი არ გადუდგამს საქართველოს წინაამდეგ. გაზეთი დაასკვნის, რომ ჩვენ შევეკითხეთ ბათომელ საქართველოს მისიას, რომელმაც გვაუწყა რომ საქართველოში სრული წესიერება სუფევს და არავითარი ულტიმატუმი მას არ მისვლია ქემალისაგან.

— ქვეით გაზეთი სწერს საქართველოში დიდი ალფრთოვანება მთავრობა ჯარებს თავს უყრის არტვინში რომ წინაალმდეგობა გაუწიოს თურქებს, ბათომსა და თბილისში გაიმართა დიდი მიტინგები რკინის გზას სასწრაფოდ გადაჰყავს ჯარი.

## მშობლიურ სცენის მტერ მოყვარეთ.

ამ ბოლო ხანებში ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველ წლის ირგვლივ ზოგიერთმა მეტროვემა ინსინუაციები გაავრცელეს დახმარების მაგიერ მე მინდა მოკლეთ განვმარტო ეხლანდელი სეზონის ისტორია. საქართველოსთან ბათომის შეერთების პირველ საგნებშივე ძველმა „დრამატიულმა წრემ" მიაქცია ბათომის სცენის საქმეს ყურადღება და მოინდომა რათაც უნდა დაჯდომოდა ეწარმოებია აქ სეზონი, რადგანაც ბათომში ქართული დრამის არსებობას გარდა კულტურულ მოსაზრებისა აძლევდა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. აილო სათანადო ნებართვა ამოირჩია გამგეობა და მიანდო მსახიობთა საჭირო კადრის მოწვევა, მაგრამ აქ მას გადაეღობა საშინელი სიძნელე, თითქმის ყველა ძალები თფილისში სახელმწიფო დასში იყო მიწვეული და ორიოდე მსახიობი ძლივს წამოიყვანა იქიდან და იმაზედაც მაშინდელ განათლების მინისტრის ნ. რამიშვილის* საყვედური დაიმსახურა. არსაიდგან არც სუბსიდია არც დახმარება არაფერი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სახალხო გვარდიის მცირე დახმარება 25,000 მ. და ზოგიერთხა შორის 100000 მ. შეგროვილი და ეს მცირე წვლილი კი 3 მილიონიან ბიუჯეტს ვერაფერს შემატებდა.

ეხლა ეს წრე სალხის და საზოგადოებრივ დაწესებულებათა გულ-კივობის გამო კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაშია. და ამ დროს გამოდიან უპასუხისმგებელო პიროვნებები, რევოლიუციამდე სადღაც მიჩქმალულები, დღეს კი თავიანთებურ ქამელეონურ მოქმედებით ზოგიერთს ორგანიზაციებში მოხვედრილები საშინელ შხამს ანთხევენ ზემოხსენებულ წრის ირგვლივ. უმჯობესია მათ თავი დაანებონ ხელოვნებაკულტურულ საქმეებზე მსჯელობას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აშკარათ აწარმოონ ნაჩვევი პროფიუმერიით სპეკულიაცია რომელსაც დაეჩვიენ.

ჩვენ კი ვიკმარებთ გულ-წრფელ თანაგრძნობას სახალხო გვარდიის შტაბისა და პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატის ზოგიერთი წევრებისა ვიდრე თქვენებრ ქამელეონების თუნდა მილიონებს.

ჩვენ აგრეთვე მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებს დროზე მიაქციონ ყურადღება ბათომის ქართულ თეატრს. დროზე სანამ გვიან არ არის.

**პათრიციი.**

*) სასურველია ავტორმა დაასახელოს თუ როგორი ინსინუაცია ვრცელდება თეატრზე.


**სავაჭრო სახლი**

**ძმ. სესიაშვილები და ამხ.**

შერემეტევის ქ. № 74.

**კავკასიური**

**ნატურალური კონიაკი**

ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.

**პურის ღვინო**

**„რ ე კ ო რ დ ი"**

საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის" აპარატებით

**ყურძნის არაყი.**

**ხილის არაყი („ჭაჭა")**

ახლად დამზადებული ახალილვინდიან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველამომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მთელია.


## სომხეთა შორის.

ბათომში არსებული ფრონტის დამხმარე კომიტეტი ამ დღეებში ამთავრებს თავის მოქმედებას. შეკრებილ 8 მილიონის დიდი ნაწილი გადაეცემა სამხეთის ეროვნულ საბჭოს საქველმოქმედო მოქმედებისთვის.

## მუშათა შორის.

შრომის ბირჟაზე 13 დეკემბერს გამოცხადდა 60 კაცი ამათგან 26 მამაკაცი და 34 დედაკაცნ ახლად ჩაეწერა 7 კაცი, ამათგან 3 კაცი და 4 ქალი. შრომის მოთხოვნილება არ ყოფილა. 14 დეკემბრისთვის ადგილი არ იყო.

## სტამბოლის ცნობები.

— ანტანტის მისიები ძლიერ სცდილობენ, რომ სტამბოლის მთავრობის ავტორიტეტი აამაღლონ.

— ხმა დადის ანგორის მთავრობა მთელ ოსმალეთის მთავრობათ ცხადდება.

— ანტანტი ყოველ გვარად წინააღმდეგობას უწევს ამას და სცდილობს ზოგიერთი დათმობებით სტამბოლში ოსმალთა დაწყნარებას.

— ანტანტის აგენტები პროკლამაციებს არიგებენ თურქებში, საკავშირეები სევრის ხელ შეკრულების შემსუბუქებას შეუდგენო.

სარედაქციო კოლეგია.


**ბათომის მუშათა მაგიდა.**

ამით აცხადებს, რომ 17 ამა დეკემბრიდან დაარიგებს ნავთს.

**ოჯახზედ მიეცემა 20 გირვანქა,**

სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს ფუთი 80 მანეთად და საზოგადო და კერძო დაწესებულებებს კი ფუთი 400 მანეთად.

**ნავთის მიღება შეიძლება ჯგუფებათ და ცალ-ცალკე.**

მუშათა მაგიდა.

3—1





## ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.

ოთხშაბათი 15 დეკემბერს

უკანასკნელი დღეები ფალავანებისა.

ჭიდაობს ორი წყვილი.

1. უკანასკნელი უვადო და გადამწყვეტი ჭიდაობა სანდაროვის მუშის წინაამდეგ. 2. ზაგორუიკო მავროსის წინაამდეგ.

ა ნ ო ნ ს ი: ამ დღეებში ბენეფისი ფალავანის სერგეი სანდაროვისა.

ამ დღეებში ბენეფისი მფრინავი ეშმაკებისა დელტრევიზისა.



**იყიდება**

ავტომობილის მთელი ზედა ნაწილი,

**= ე. ი. კუზა =**

პირობის გაგება შეიძლება კავკავის და თბილისის ქ. კუთხე მეშის საწყობი პ. სადრამესთან.



**განცხადება**

გვაქ პატივი ვაცნობოთ ბ ათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ

**ძმ. აბულაძეებმა გავხსენით**

**სასადილო**

ნორიაში, ასათიანის და შეპელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება

**იმერული საჭმელები.**

და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელ-მისაწვდენათ და ზომიერ ფასებში.

საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.

პატივისცემით **ანტონ აბულაძე,**


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ნ. ე. შმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.